Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი
სოციალურ მეცნიერებებში

#3, დეკემბერი, 2017

ახალგაზრდების კვლევა სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხების შეფასებისა და აღქმის მხრივ

ანა პაპიაშვილი, მარიამ ოძელაშვილი, მარიამ ჯიბუტი

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: anukip@live.com; mariamodzelashvili7@gmail.com; mariamjibuti3@gmail.com

აბსტრაქტი

სექსუალური განათლება ერთ-ერთ ტაბუირებულ და პრობლემურ საკითხად რჩება საქართველოში. ამ მიზეზით, ახალგაზრდებს შეიძლება არ გააჩნდეთ ინფორმაცია სექსუალური უფლებების შესახებ. აქედან გამომდინარე კი, სავარაუდოა, მათ არ შეეძლოთ სექსუალური ძალადობისა და ზეწოლის ამოცნობა, რაც სექსუალურ უფლებებთან არის დაკავშირებული. საქართველოში არსებული დღევანდელი მდგომარეობის გასაანალიზებლად მივმართეთ მეთოდების ტრიანგულაციას, რამაც საშუალება მოგვცა, საკითხი სხვადასხვა კუთხით შეგვესწავლა და გვეკვლია ფაქტორები, რომლებიც შესაძლოა, გავლენას ახდენდნენ სექსუალურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების აღქმასა და შეფასებაზე. თავდაპირველად შევისწავლეთ 2013 წელს UNICEF-ის ეგიდით ჩატარებული კვლევა - „ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში". გამოვყავით ჩვენს საკვლევ თემასთან დაკავშირებული საკითხები. გავაანალიზეთ განათლების მიღწეული დონის გავლენა სექსუალური უფლებების შესახებ ინფორმირებულობაზე მეორადი მონაცემების დამუშავების შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ თემა უფრო დაგვეკონკრეტებინა და შეგვესწავლა, თუ როგორ აფასებდნენ სტუდენტები სექსუალური ძალადობისა და ზეწოლის ფაქტებს - რამდენად შეეძლოთ მათი ამოცნობა. საკითხის სენსიტიური ხასიათი გვაძლევს საბაბს, ვიფიქროთ, რომ სექსუალური ზეწოლის ელემენტების აღქმაზე გავლენას შეიძლება ახდენდეს ემოციური ფონი. იმისათვის, რომ ჩვენი ვარაუდის ჭეშმარიტება/მცდარობა შეგვეფასებინა, მივმართეთ ექსპერიმენტულ მეთოდს, კონკრეტულად კი, გამოვიყენეთ ჯგუფთაშორისი ექსპერიმენტული დიზაინი, ხოლო გარკვეულ კანონზომიერებათა დასადგენად - ჯგუფშიდა ექსპერიმენტული დიზაინის ელემენტები. ექსპერიმენტის ფარგლებში დაკომპლექტებულ იქნა სამი ჯგუფი: ერთი საკონტროლო, ორი ექსპერიმენტული. როგორც მეორადი მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რიგ შემთხვევებში სექსუალურ ასპექტებზე ინფორმირებულობა დამოკიდებულია რესპონდენტთა განათლების მიღწეულ დონეზე. სექსუალური ზეწოლის ამოცნობის დროს კი, ექსპერიმენტის მონაწილე სტუდენტების შემთხვევაში, იმოქმედა ემოციურმა ფონმა.

საკვანძო სიტყვები: სექსუალური ზეწოლა, სექსუალობა, სექსუალური ძალადობა, ემოციური ფონი.

შესავალი

სექსუალური განათლება საზოგადოებრივი განხილვისთვის ერთ-ერთ მიუღებელ საკითხად რჩება საქართველოში, რასაც ეწირება სექსუალობასთან დაკავშირებული არაერთი ძირითადი ასპექტი. მსგავს პირობებში, მნიშვნელოვანია გავიგოთ, როგორია სექსუალურ ასპექტებზე ინფორმირებულობის დონე საქართველოში და რამდენად არის ეს მაჩვენებელი დამოკიდებული ინდივიდის განათლებაზე. საინტერესოა ამ ორ ცვლადს შორის კავშირის დადგენაც. აგრეთვე ცალკე გამოსაკვეთად მივიჩნევთ სექსუალური ზეწოლის საკითხს, რამდენადაც სექსუალური ზეწოლის აღქმაზე მრავალი სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს, როგორებიცაა: პიროვნების ემოციურობა, მგრძნობელობა, და სხვა.

სექსუალურ ზეწოლასთან დაკავშირებით აუცილებელია იმის გააზრება, დებულება თუ კანონი საზოგადოებისათვის ადვილად აღსაქმელი და მისაღები რომ იყოს, მნიშვნელოვანია იგი ეფუძნებოდეს ინდივიდუალურ ცნობიერებას. სწორედ ინდივიდუალური დამოკიდებულებებისა და მათი ცვალებადობის კვლევას ემსახურება მოცემული ექსპერიმენტი.

კვლევის მიზანია განათლების მიღწეულ დონესა და სექსუალურ ასპექტებზე ინფორმირებულობას შორის კავშირის დადგენა და ემოციური ფაქტორის გავლენაზე დაკვირვებით ახალგაზრდების დამოკიდებულებების გაზომვა სექსუალური ზეწოლის აღქმა/შეფასების გზით.

ჩვენი კვლევის ძირითადი ჰიპოთეზაა: განათლება და ემოციური ფონი გავლენას ახდენს ახალგაზრდების აღქმასა და ინფორმირებულობაზე სექსუალური ასპექტების მხრივ.

საწყის ეტაპზე, UNICEF-ის 2013 წელს ჩატარებული კვლევის (*ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში*) მონაცემების დამუშავებისას, გამოვყავით შემდეგი **სამუშაო ჰიპოთეზა:**

- განათლების მიღწეული დონე გავლენას ახდენს სექსუალური უფლებების შესახებ ინფორმირებულობაზე;

ხოლო კვლევის შემდეგ საფეხურზე, ექსპერიმენტის მეთოდის გამოყენებისას, **სამუშაო ჰიპოთეზად** განვსაზღვრეთ:

- სექსუალური ზეწოლის ამოცნობისა და შეფასებისას ცდისპირებზე ემოციური ფონი მოქმედებს.

ლიტერატურის მიმოხილვა

განათლების გავლენას ახალგაზრდების ინფორმირებულობაზე სექსუალური ასპექტების მხრივ მოწმობს არაერთი ჩატარებული კვლევა თუ ექსპერიმენტი. ერთ-ერთი მათგანია ლუისა ალენის (2010) კვლევა „სექსუალურ განათლებასა და ქცევას შორის სივრცის შევსება“, რომელშიც სექსუალური განათლების ასპექტზე გამახვილდა ყურადღება. ეს კი, თავის მხრივ, მოიცავს სექსუალურ უფლებებზე, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე ინფორმირებულობასა და სექსუალური ზეწოლის ამოცნობის შესაძლებლობას. ამავე კვლევაში, წყაროებზე საუბრისას, აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა შორის, როგორც მდედრობითი, ასევე მამრობითი სქესის რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ სკოლაში მიღებული ცნობები ყველაზე სწორი და გამოსადეგია, მაშინ, როდესაც ამ რეიტინგში ინტერნეტი ბოლო ადგილზეა.

სექსუალური განათლების გაანალიზებისას ინფორმაციის გავრცელების წყაროსა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გარდა, მნიშვნელოვანია სექსუალური უფლებების განხილვა, რაც მოიაზრებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრული უფლებებს, როგორებიცაა გაუპატიურებისგან, ძალადობისგან, შანტაჟისგან, უთანასწორო მდგომარეობისგან დაცვა და სექსუალური თავისუფლების უზრუნველყოფა. თეორიებითა და სხვადასხვა კვლევით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები ამ ასპექტებზე არ ამახვილებენ ყურადღებას. სექსუალური უფლებების დარღვევა არც ისე იშვიათად ხდება სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში.

> *„კვლევები და ანგარიშები მიუთითებენ, რომ საქართველოში ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და სექსუალური უფლებები ირღვევა სხვადასხვა ფორმით: უსაფრთხო აბორტის*

> *სერვისებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვით, სელექციური აბორტით, კონტრაცეპტივების გამოყენების წესებსა და მათზე ხელმისაწვდომობის უფლებების დარღვევით.“* (ასოციაცია ჰერა-XXI, 2015. *კოალიცია რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებებისათვის*: 4).

კვლევების გაანალიზების შედეგად გამოჩნდა, რომ ხშირად სექსუალური უფლებების დარღვევის სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ, რომელთა შორისაც აღსანიშნავია დაუსჯელობის შეგრძნება და ის, რომ მსხვერპლი მოძალადეზე სუსტია.

> *„გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტმა ქალებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებითაც, თუ რატომ შეიძლება კაცმა ქალი სექსუალურად შეავიწროვოს. რესპონდენტთა უმრავლესობა [53%] ფიქრობს, რომ ამის მიზეზი, პირველ რიგში, დაუსჯელობის განცდაა, რომელიც კაცებს აქვთ“* (ამაშუკელი, 2015, *გვ.* 110).

სექსუალური უფლებები და მათი აღიარება/არაღიარება პირდაპირ დაკავშირებულია სექსუალურ ზეწოლასთან. სოციალური მეცნიერებების ლექსიკონ-ცნობარში ეს ცნება განმარტებულია, როგორც ნებისმიერი სახის სექსუალური ხასიათის ქცევა, პირდაპირი თუ ირიბი, აშკარა თუ ფარული, რომელიც არასასურველია ობიექტისათვის. მოიცავს ფიზიკურ შეხებასა და სექსუალური ხასიათის შემოთავაზებებს, კომენტარებს, პორნოგრაფიის დემონსტრირებას, ქცევით ან სიტყვით გამოხატულ სექსუალური ხასიათის სხვა ქმედებებს. იმას, რომ განათლების მიღწეული დონე გავლენას ახდენს ინდივიდის მიერ სექსუალური ზეწოლის შეფასებასა და გამოვლენაზე, კვლევებთან ერთად ადასტურებს არაერთი ექსპერიმენტიც.

ფულისმა და მაკკაბიმ (Foulis & McCabe, 1997) ჩაატარეს კვლევა „სექსუალური ძალადობა: ფაქტორები, რომელთაც გავლენა აქვთ დამოკიდებულებებსა და აღქმაზე“ (*Sexual Harassment: Factors Affectin Attitudes and Perceptions),* რომელიც მოიცავდა ექსპერიმენტს. მის ფარგლებში გამოიყო სამი ჯგუფი: სკოლის მოსწავლეები, უნივერსიტეტის სტუდენტები, დასაქმებული ზრდასრულები.

შედეგად გამოვლინდა, რომ ასაკისა და გამოცდილების ნაკლებობის გავლენით, სკოლის მოსწავლეები მეტად ეყრდნობიან გენდერულ როლთა სტერეოტიპებს და სექსუალური ზეწოლის მიმართ მაღალი ტოლერანტობა გააჩნიათ (Foulis & McCabe, 1997).

საინტერესო შედეგები გამოვლინდა კვლევაში „სექსუალური ზეწოლა: ორგანიზაციული კონტექსტი და მისი გავრცელება“, რომელიც ტერი ფეინმა (*Terri Fain)* გამოაქვეყნა 1987 წელს. ტექსტში ვკითხულობთ:

> *„საგანმანათლებლო დაწესებულებებში ზეწოლის ფაქტები ყველაზე ხშირად ვლინდებოდა ტექნიკური განათლებისა და კოლეჯების შემთხვევაში, ნაკლებად - საუნივერსიტეტო სივრცეში, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდებოდა სკოლაში.“ (Fain, 1987, Sexual Harassment: Organizational Context and Diffuse Status: 11)*

„ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში“-ის მიხედვით, რესპონდენტები, რომლებიც უკეთ არიან ინფორმირებულნი საკუთარი უფლებების შესახებ, უკეთ ამოიცნობენ შევიწროებისა და ძალადობის ფორმებს. მაგალითად, რესპონდენტთა 56.76%, რომელიც სრულიად ემხრობოდა მოსაზრებას, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება არ განიცდიდეს რაიმე ნიშნით (ეთნიკური, სქესი, ასაკი, რელიგია, ა.შ) დისკრიმინაცია, თვლის, რომ თანხმობის გარეშე შეხება/მოფერება არის ძალადობის ფორმა (*ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში,* 2013).

სექსუალურ ზეწოლასთან დაკავშირებული საკითხების დროს მდედრობითი სქესის წარმომადგენლებში ემპათიის გრძნობა მეტად არის განვითარებული. ამას ადასტურებს ჯანეტ სურეის (1985) კვლევა „ინდივიდი ურთიერთობაში: ქალთა განვითარების თეორია“ .ამასთანავე, კატსის, ჰანონის და ვიტენის (1996) კვლევის („გენდერისა და სიტუაციის გავლენა სექსუალური ზეწოლის აღქმაზე“) შედეგების მიხედვით, გამოიკვეთა, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები მეტად ემოციურად აღიქვამენ სექსუალურ ზეწოლას და უკეთ ამოიცნობენ ზეწოლის ელემენტებს. მდედრობითი სქესის წარმომადგენლების სექსუალური ძალადობისადმი

ემოციურ დამოკიდებულებასა და მათ მიერ ზეწოლის ელემენტების წარმატებით ამოცნობას ადასტურებს ჯონ ეკორის (2012) ნაშრომშიც - „გენდერული სხვაობები სექსუალური ზეწოლის აღქმაზე უნივერსიტეტის სტუდენტებში“.

რესპონდენტთა განწყობაზე გავლენას ემოციური ფონი ახდენს. მაგალითად, მარიამ ამაშუკელის მიერ, 2015 წელს შესრულებულ ნაშრომში „სექსუალური შევიწროება - ქალთა „უჩინარი“ დისკრიმინაცია“ ვკითხულობთ:

> *„რაც უფრო თვალსაჩინო და ინტენსიურია მინიშნება სექსუალურ აქტზე, მით უფრო მეტად ფასდება და აღიქმება გამოკითხული სტუდენტებისთვის ესა თუ ის ქცევა სექსუალურ შევიწროების ეკვივალენტად''(ამაშუკელი, 2015, გვ. 107)*

მეთოდოლოგია

იმისთვის, რომ გვეკვლია ახალგაზრდების მიერ სექსუალურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების შეფასება და აღქმა, მივმართეთ მეთოდების ტრიანგულაციას. გამოვიყენეთ მეორადი მონაცემების ანალიზის, ლიტერატურის მიმოხილვისა და ექსპერიმენტის მეთოდები. პირველყოვლისა, დავაკვირდით UNICEF-ის ეგიდით ჩატარებული კვლევის - „ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში'' საფუძველზე გამოვლენილ ტენდენციებსა და მონაცემებს იმის შესახებ, თუ რა წარმოდგენები აქვთ ახალგაზრდებს სექსუალური საკითხების მიმართ. აღსანიშნავია რომ ბაზაში ცვლადების სხვადასხვა მაჩვენებელი არ არის გაზომილი ერთსა და იმავე სკალაზე, რის გამოც მოგვიწია ცვლადების რეკოდირება, ახალი ინდექსის შექმნა და შემდეგში მათ შორის კავშირის დადგენა.

სექსუალურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების გაანალიზების შემდეგ ჩვენი საკვლევი საკითხი უფრო დავაკონკრეტეთ და უკვე ექსპერიმენტული მეთოდის მეშვეობით, შევისწავლეთ სექსუალური განათლების ერთ-ერთი განშტოება, ინდიკატორი - სექსუალური ზეწოლის აღქმა და შეფასება. მეთოდების ტრიანგულაციამ საშუალება მოგვცა, რომ ის შეზღუდვები, რაც შეგვექმნა

კვლევის პირველ ეტაპზე, მეორადი მონაცემების დამუშავებისას, დაგვეძლია და ისეთი კვლევის დიზაინი შეგვექმნა, რომელიც ბოლომდე იქნებოდა მორგებული ჩვენს მიზნებზე. ,

სტუდენტების მიერ სექსუალური ზეწოლის სხვადასხვა ასპექტის აღქმის საკვლევად გამოვიყენეთ ჯგუფთაშორისი ექსპერიმენტული დიზაინი, ჯგუფშიდა ექსპერიმენტული დიზაინის ელემენტებით.

ექსპერიმენტული კვლევის ფარგლებში მივმართეთ ონლაინ-გამოკითხვის მეთოდს და გამოვიკითხეთ ჩვენი შერჩევით გათვალისწინებული რესპონდენტები.

ჩვენი კვლევა მრავალპირობიანი ექსპერიმენტული დიზაინით დავგეგმეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ შერჩევაში შესული 90 რესპონდენტის შემთხვევითად გადანაწილების შემდეგ დაკომპლექტდა 3 ჯგუფი: ერთი საკონტროლო, ორი ექსპერიმენტული. იმისათვის რომ დაგვეცვა რენდომიზაცია, დათანხმებული რესპონდენტების სახელი და გვარები შევიყვანეთ Excel ბაზაში და პროგრამის ფუნქციების დახმარებით, გადავანაწილეთ ის, თუ ვის რომელი ტესტი უნდა გადაგზავნოდა პირადად. თითოეულ ჯგუფში რესპონდენტთა რაოდენობა შეადგენდა 30-ს. სამივე ჯგუფის მონაწილეები სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები არიან. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა 3 კითხვარი 3 ჯგუფისთვის, სადაც იკვეთება განსხვავება. მრავალპირობიანი ექსპერიმენტული დიზაინის მიხედვით, კითხვარის იდენტური შეკითხვა - შესწრებიხართ თუ არა რაიმე სახის სექსუალური ძალადობის გამოვლენის ფაქტს? - იქნა დასმული სამივე ჯგუფისთვის კითხვარის თავსა და ბოლოში. ამის მიზეზი ის იყო, რომ გაგვეზომა, მოახდენდა თუ არა გავლენას კითხვარში წარმოდგენილი სტიმული ან საკონტროლო კითხვები რესპონდენტების შეფასებებზე გამოკითხვის ბოლოს - შეიცვლებოდა თუ არა პასუხები იდენტურ შეკითხვაზე გამოკითხვის დაწყებისა და დასრულების შემდეგ.

რაც შეეხება პირდაპირ ექსპერიმენტულ პირობებს, ისინი მოცემული იყო დასაწყისში არსებული პრეტესტ-პოსტტესტური კითხვის შემდეგ. მათ შორის განსხვავებას წარმოადგენდა დამოუკიდებელი ცვლადის მიწოდება, რომელიც სექსუალური ძალადობის ამოცნობასთან არის დაკავშირებული - საკონტროლო ჯგუფს ის არ მიეწოდა, ხოლო ექსპერიმენტულებს - ორი განსხვავებული სტიმულის სახით. საკონტროლო ჯგუფს, უბრალოდ, დავუსვით შეკითხვა -

რამდენად ეთანხმებიან/არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ კონკრეტული ქმედება არის სექსუალური ძალადობის გამოვლინება. პირველ ექსპერიმენტულ ჯგუფს შევთავაზეთ კონკრეტული შემთხვევა (ქეისი) და მხოლოდ მას შემდეგ ვკითხეთ იმავე შეკითხვა, ხოლო მეორე ექსპერიმენტულ ჯგუფს სტიმულის სახით წარვუდგინეთ სურათი, რომელზეც გამოსახულია ქმედება, რომელიც შესაძლოა აღიქმეს, როგორც სექსუალური ძალადობა და შემდეგ მათაც ვკითხეთ, თუ რამდენად ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ ფოტოსურათზე გამოსახული მოქმედება არის სექსუალური ძალადობის გამოვლინება. კითხვარში არსებული ამ განსხვავებულმა პირდაპირმა ექსპერიმენტულმა პირობამ მოგვცა საშუალება, რომ გვეკვლია სტიმულების გავლენა რესპონდენტთა შეხედულებებსა და პასუხებზე.

რადგანაც ექსპერიმენტის პირობის თანახმად, რესპონდენტებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ უნდა ყოფილიყო მათ შორის განათლების ცენზის მიხედვით, ჩვენს ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ სტუდენტებმა.

შედეგები/ინტერპრეტაცია

იმისათვის, რომ ბაზაში არსებული მონაცემები თანაბრად ყოფილიყო გადანაწილებული თითოეული შეკითხვის შემთხვევაში, თავდაპირველად ბაზა შევწონეთ. ნაშრომში მეორადი მონაცემების დამუშავების შედეგად წარმოდგენილი ყველა მონაცემი შეწონილი სახით არის გაანალიზებული. ჩვენს დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენს განათლების მიღწეული დონე, რაც ბაზაში 11 დონედ არის ჩაშლილი, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ოთხ ჯგუფში გაგვეერთიანებინა: 1-ში მოიაზრება წერა კითხვის უცოდინარი და მხოლოდ დაწყებით განათლების მქონე ინდივიდები; 2-ში სრული ზოგადი განათლების მქონენი; 3 - ისინი, ვისაც პროფესიული განათლება აქვთ მიღებული; 4 - უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდები. ანალიზისას განათლების მიღწეული დონეები დაჯგუფებული სახით არის წარმოდგენილი.

ჩვენი კვლევა მიზნად ისახავს იმის განსაზღვრას, იციან თუ არა რესპონდენტებმა საკუთარი სექსუალური უფლებების შესახებ და შეუძლიათ თუ არა სექსუალური ძალადობის ამოცნობა. ამ

ყველაფრის გასაანალიზებლად დავამუშავეთ შეკითხვა - „გთხოვთ, გვიპასუხოთ რამდენად ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს - თანხმობის გარეშე შეხება/მოფერება არ არის ძალადობა“ (იხ. დიაგრამა #1).

დიაგრამა #1 - დებულებისა და განათლების მიღწეული დონის ცვლადებს შორის



კროსტაბულაცია

Unicef - „ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში“, 2014.

როგორც დიაგრამიდან ირკვევა, განათლების თითოეულ ჯგუფში მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს კატეგორიას „უფრო არ ვეთანხმები“. აღნიშნული შედეგი გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ გამოკითხული ადამიანები ბაზისურ ცოდნას სექსუალური უფლებების შესახებ ფლობენ. აღსანიშნავია, რომ განათლების სამი საფეხურის - სრული ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება - შემთხვევაში თითოეულ კატეგორიაში პასუხების თითქმის თანაბარი მაჩვენებელი დაფიქსირდა. ყოველ მათგანში „უფრო არ ვეთანხმების“ კატეგორია დომინირებს. ეს მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდება წერა/კითხვის უცოდინარ რესპონდენტთა პასუხებისგან. მათი უმრავლესობა უფრო არ მიიჩნევს სექსუალურ ძალადობად თანხმობის გარეშე

შეხება/მოფერებას ან ნეიტრალურ მდგომარეობას აფიქსირებს. ის, რომ „უფრო ვეთანხმები კატეგორია 20%-ის ფარგლებშია, აშკარად მიუთითებს, რომ რესპონდენტები სრულად ინფორმირებულნი არ არიან სექსუალური უფლებების შესახებ.

სწორედ აღნიშნული კითხვის საფუძველზე, მეორადი მონაცემების დამუშავების შემდეგ საკვლევი თემა უფრო დავაკონკრეტეთ - სექსუალური ზეწოლისა და ძალადობის ამოცნობას, შეფასებას ექსპერიმენტული მეთოდით შევეცადეთ. მასში მონაწილეობა მიიღო, როგორც მდედრობითი, ასევე მამრობითი სქესის წარმომადგენლებმა. შესაძლოა ითქვას, რომ ექსპერიმენტი ცდის პირთა მიხედვით გენდერულად დაბალანსებული იყო - 50 ქალი, 40 კაცი.

ბაზა დავყავით ჯგუფების მიხედვით და შემდგომი ფუნქციები სწორედ დაყოფილ ბაზაში განვახორციელეთ, რათა უკეთ შეგვეფასებინა, იქნებოდა თუ არა რაიმე ნიშნით განსხვავებები საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფების მიხედვით.

სექსუალური ზეწოლის ამოცნობისა და შეფასების საკითხის შესასწავლად სამივე ჯგუფს ერთი კონკრეტული კითხვა საკვლევი თემის შესახებ - „რამდენად ეთანხმებით/არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ უფროსის მიერ თანამშრომელთან არასასურველი ფიზიკური კონტაქტი (მაგალითად ხელის მხარზე, ფეხზე შეხება) არის სექსუალური ძალადობის გამოვლინება?“ - განსხვავებული ფორმატით შევთავაზეთ. შესაბამისად, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ შეგვეფასებინა ჯგუფებს შორის დამოკიდებულებები აღნიშნულ კითხვაზე პასუხების მიხედვით, რისთვისაც გამოვიყენეთ საშუალოების შედარების მეთოდი - Anova.

ჯგუფებს შორის დამოკიდებულებების მიხედვით, Anova-ს დათვლის შედეგად ვერ მივიღეთ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მაჩვენებელი. თითქმის ყველა შემთხვევაში, გარდა ექსპერიმენტული ჯგუფების ერთმანეთთან შედარებისა, სტატისტიკურად მნიშვნელოვნობის კოეფიციენტი მივიღეთ 0.951 (sig.=0.951); ექსპერიმენტული ჯგუფების შემთხვევაში კი sig.=0.819. ეს შესაძლოა გამოწვეული იყო იმით, რომ თითოეულ ჯგუფში ცდისპირთა რაოდენობა მხოლოდ 30-ს შეადგენდა. ვვარაუდობთ, რომ მეტი რესპონდენტის გამოკითხვის შემთხვევაში, შედეგებიც განსხვავებული და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იქნებოდა.

საკონტროლო მოსაზრება/სტიმულის ცვლადის შესახებ უკვე დაყოფილ ბაზაში დავითვალეთ სიხშირეები, რათა დაგვედგინა, რაოდენობრივად მაინც თუ იყო განსხვავებები შედეგებში. სიხშირეების დათვლის შედეგად მივიღეთ შემდეგი მაჩვენებელები: საკონტროლო მოსაზრება/სტიმულის კითხვას - „რამდენად ეთანხმებით/არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ უფროსის მიერ თანამშრომელთან არასასურველი ფიზიკური კონტაქტი (მაგალითად ხელის მხარზე, ფეხზე შეხება) არის სექსუალური ძალადობის გამოვლინება?“ - 1-ლ ექსპერიმენტულში „სრულიად არ ეთანხმება“ 3 რესპონდენტი, ხოლო მე-2 ექსპერიმენტულ - 4 მათგანი (იხ. დიაგრამა #2). შეიძლება ითქვას, რომ პასუხები, ექსპერიმენტულ ჯგუფებში უფრო უარყოფითისკენ არის გადახრილი.

დიაგრამა #2 - საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფების მიხედვით, რესპონდენტთა მიერ საკონტროლო მოსაზრება/სტიმულის ცვლადის შეფასებები



აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტიმულის შეტანას მნიშვნელოვანი განსხვავება არც რაოდენობრივად არ გამოუწვევია. „სავსებით ვეთანხმების“ კატეგორია სამივე შემთხვევაში იდენტურია. აღსანიშნავია ის, რომ 1-ლ ექსპერიმენტულ ჯგუფში, რომელშიც ქეისი (case), შემთხვევა შევიტანეთ სტიმულად, განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა “უფრო ვეთანხმები,

ვიდრე არ ვეთანხმების“ კატეგორიაში. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ სიტუაციის ვერბალური აღწერა მეტად იძლეოდა უსამოვნების შეგრძნების ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, ვიდრე ფოტოსურათი, რომელმაც ზოგიერთი რესპონდენტისთვის შესაბამისად ვერ გადმოსცა ქალბატონის შეგრძნებები, პირიქით შეზღუდა ამ ემოციის წარმოსახვის სპექტრი.

ხოლო ის ფაქტი, რომ მე-2 ექსპერიმენტულ ჯგუფში შეტანილი სტიმული, რომელიც ვიზუალურად, სურათის სახით წარედგინათ ჯგუფებს, არ აღმოჩნდა ფაქტის სექსუალურ ძალადობად შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ მიწოდებული სურათი რესპონდენტებმა ორაზროვნად აღიქვეს; ყურადღება არ გაუმახვილებიათ ქალის მიმიკებზე.

მიუხედავად ამ შედეგებისა, ის დაშვება, რომ მეტი რესპონდენტის გამოკითხვას, შესაძლოა პასუხები შეცვლა მოჰყოლოდა, ამ შემთხვევაშიც ლეგიტიმურია.

მართალია ჩვენს ექსპერიმენტში 3 განსხვავებული ჯგუფი იყო წარმოდგენილი და, ძირითადად, ყურადღება მათ შედეგებს შორის განსხვავებებისა თუ მსგავსებების გამოკვეთაზე გავამახვილეთ, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ისიც, რომ კითხვარში ხელოვნურად შეგვექმნა პრეტესტ-პოსტტესტური სახის ექსპერიმენტის გარემო. ამის მიღწევა შევძელით კითხვარში ერთი კონკრეტული შეკითხვის - „შესწრებიხართ თუ არა რაიმე სახის სექსუალური ძალადობის გამოვლენის ფაქტს“ - საშუალებით, რომელიც კითხვარის თავსა და ბოლოში უცვლელად დავუსვით თითოეული ჯგუფის წევრს.

კითხვარის დასაწყისში შეთავაზებულ კითხვაზე თითოეულ ჯგუფში აშკარად ჭარბობდა უარყოფითი პასუხის შედეგები. რესპონდენტთა უმრავლესობამ, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ არ შესწრებიან სექსუალური ძალადობის გამოვლენის ფაქტს (იხ. დიაგრამა #3).

დიაგრამა #3 - პრეტესტური შეკითხვა - შესწრებიხართ თუ არა რაიმე სახის სექსუალური ძალადობის გამოვლენის ფაქტს?



შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა პრეტესტ-პოსტტესტურმა კითხვამ შედეგი გამოიღო იმ მხრივ, რომ კითხვარის ბოლოს დასმული შეკითხვის პასუხებში წინასთან შედარებით ცვლილებებია. საკონტროლო და 1-ლ ექსპერიმენტულ ჯგუფებში „დიახ, შევსწრებივარ“ პასუხის კატეგორია რაოდენობრივად იზრდება, რაც შესაძლოა გამოეწვია სწორედ საკონტროლო მოსაზრება/სტიმულის ცვლადს და, ასევე, შესაძლო სექსუალური ძალადობის ფაქტების შესახებ წარმოდგენილ დებულებებს. თუმცა, საინტერესოა მე-2 ექსპერიმენტული ჯგუფის შედეგი. კითხვარში სტიმული ვიზუალურად იყო წარმოდგენილი და ჩვენი დაშვებით, უფრო მეტი გავლენა უნდა მოეხდინა რესპონდენტებზე, მაგრამ ასე არ მოხდა. ამ ჯგუფის შეხედულებებზე დებულებებმა და სტიმულმა უარყოფითად იმოქმედა და „დიახ შევსწრებივარ'' პასუხების რაოდენობა შემცირდა (იხ. დიაგრამა #4).

დიაგრამა #4 - პოსტტესტური შეკითხვა - შესწრებიხართ თუ არა რაიმე სახის სექსუალური ძალადობის გამოვლენის ფაქტს



შესაბამისად, გადავწყვიტეთ, რომ გვეკვლია კავშირი ცდისპირთა პასუხებს შორის ამ იდენტურ კითხვასთან დაკავშირებით. ამისთვის მათი კროსტაბულაციები გამოვთვალეთ. შედეგად კი მივიღეთ, რომ რესპონდენტების 87%-მა (20 რესპონდენტი), რომლებმაც აღნიშნულ კითხვაზე პირველ ჯერზე დადებით პასუხი დააფიქსირეს, ასევე დადებით შეფასებას იძლევიან მეორე შემთხვევაშიც, მხოლოდ 13%-მა (3 რესპონდენტი) შეიცვალა მოსაზრება. ანალოგიური მაჩვენებელი დაფიქსირდა კატეგორიაში „არა, არ შევსწრებივარ“. მხოლოდ 13%-მა (9 რესპონდენტი) შეიცვალა შეხედულება მეორედ დასმული კითხვის შემთხვევაში. აღნიშნული მაჩვენებლები შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ კითხვარში წარმოდგენილმა საკონტროლო შეკითხვებმა, სტიმულმა, სხვადასხვა დებულებამ, გავლენა მოახდინა რესპონდენტების მოსაზრებებზე.

როგორც აღვნიშნეთ, პრეტესტ-პოსტტესტური დატვირთვის მქონე კითხვის პასუხების ცვლილება შესაძლოა დამოკიდებული ყოფილიყო, აგრეთვე, საკონტროლო შეკითხვებზე, რომელთა ნაწილი დებულებების სახით შევთავაზეთ რესპონდენტებს. ჩამოთვლილი 7 მოსაზრება შეფასებული იყო როგორც სექსუალური ძალადობის გამოვლინება; რესპონდენტებს კი თავად უნდა შეეფასებინათ, რამდენად ეთანხმებოდნენ აღნიშნულ მოსაზრებას 0-დან 100 ბალამდე. იმისათვის,

რომ თითოეული ჯგუფის მიხედვით რესპონდენტთა შეხედულებები გაგვეზომა და გარკვეული ტენდენციები გამოგვკვეთა, დებულებების რიცხვობრივი შეფასებების საშუალოები დავითვალეთ. საბოლოოდ კი მივიღეთ საკონტროლო, 1-ლი და მე-2 ექსპერიმენტული ჯგუფების მიხედვით დებულებების საშუალო მაჩვენებლები, რითაც ზოგადი შეფასებების გაანალიზება შევძელით (იხ. დიაგრამა #5).

დიაგრამა #5



როგორც აღმოჩნდა, სამივე ჯგუფში ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი „ადევნების“ სექსუალურ ძალადობად შეფასებისას დაფიქსირდა. აღნიშნული შესაძლოა იმით იყოს განპირობებული, რომ სხვა სექსუალური ზეწოლის გამოვლინებებთან შედარებით, ადევნება მეტად შესამჩნევი და თვალსაჩინოა.

დებულებებიდან ყველაზე დაბალი შეფასება „საჩუქრების ჩუქებით გადამეტებული ყურადღების გამოჩენის“ კატეგორიაში დაფიქსირდა, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ საჩუქრების ჩუქება პატივისცემასთან, დაფასებასთან ან სასიხარულო ჟესტთან ასოცირდება და გადამეტებული ყურადღებისა და მომაბეზრებელი ქცევის ყველაზე ნეიტრალური გამოხატულებაა. აღნიშნული ქმედება რესპონდენტებისთვის სამომავლოდ უფრო ნაკლებად ასოცირდება სექსუალური ძალადობის ფაქტთან, ვიდრე სხვა დანარჩენი ჩამოთვლილი დებულებები.

და ბოლოს, იმის გასაგებად, თუ რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ცდისპირთა სქესსა და სექსუალური ზეწოლის ასპექტების აღქმას, დავითვალეთ სამივე ჯგუფის წევრების სქესისა და კითხვარში შემოტანილი სტიმულის მიმართება.

საკონტროლო ჯგუფში 5 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი ცდისპირი სავსებით დაეთანხმა იმ დებულებას, რომ უფროსის მიერ თანამშრომელთან არასასურველი ფიზიკური კონტაქტი (ხელის მხარზე, ფეხზე შეხება) არის სექსუალური ძალადობის გამოვლინება. ამ დებულებას სავსებით მამრობითი სქესის 3 წარმომადგენელი დაეთანხმა. პირველ ექსპერიმენტულ ჯგუფში დამოკიდებულება ორივე სქესის მიხედვით ერთით შეიცვალა - გოგონების რიცხვმა მოიმატა, ხოლო ბიჭებისამ - დაიკლო. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ჯგუფში მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლების ყველაზე დიდი რაოდენობა (5-გოგონა, 6-ვაჟი) ,,უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმების'' კატეგორიაში დაფიქსირდა.

მე-2 ექსპერიმენტულ ჯგუფში დაფიქსირდა ყველაზე მეტი ისეთი, პასუხი, რომელიც სრულიად არ ეთანხმებოდა კითხვარში მოცემულ დებულებას (სტიმულს). მამრობითი სქესის 3 წარმომადგენელი, მდედრობითი სქესის კი 1, სრულიად არ დაეთანხმა იმ ფაქტს, რომ სურათზე გამოსახული მდგომარეობა სექსუალური ზეწოლის გამოვლინებაა. ამავე ჯგუფში გოგონების 1/3 სავსებით დაეთანხმა, რომ ფოტოზე გამოსახული ვითარება სექსუალური ძალადობის გამოვლინებაა.

ის ფაქტი, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენლების დიდი ნაწილი სავსებით ან უფრო მეტად ეთანხმება, რომ სამივე შემთხვევაში უფროსის მიერ თანამშრომელთან არასასურველი ფიზიკური კონტაქტი სექსუალური ძალადობის გამოვლინებაა შეიძლება იმით იყოს გამოწვეული,

რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებში უფრო მეტადაა განვითარებული ემპათია, ისინი მეტად ემოციურად აღიქვამენ სექსუალურ ზეწოლას და უკეთ ამოიცნობენ მის გამოვლინებას.

დასკვნა

მეორადი მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ კვლევის ჰიპოთეზა - განათლება გავლენას ახდენს ახალგაზრდების ინფორმირებულობაზე სექსუალური ასპექტების მხრივ - გამართლდა, თუმცა, აღმოჩნდა, რომ იგი არ არის დამოკიდებული განათლების იმ ჯგუფებზე, რომლებიც განათლების ცვლადის რეკოდირების შედეგად გამოვყავით (წერა/კითხვის უცოდინარი; დაწყებითი განათლება; სრული ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება)

ექსპერიმენტული დიზაინის კვლევის ფარგლებში მრავალი საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა. ჩვენი ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო ემოციურად აღიქვამენ სექსუალური ზეწოლის ფაქტს, გამართლდა. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ 1-ლ ექსპერიმენტულ ჯგუფში, რომელშიც ქეისი (case), შემთხვევა შევიტანეთ სტიმულად, განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა "უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმების" კატეგორიაში. ექსპერიმენტის შედეგად მიღებული ფაქტი, რომ ახალგაზრდების უმრავლესობას მოცემული შემთხვევა ძალადობად მიიჩნია, შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ სიტუაციის ვერბალური აღწერა მეტად იძლეოდა უსიამოვნების შეგრძნების ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, ვიდრე ფოტოსურათი. საბოლოოდ კვლევის ორივე ეტაპის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, ჩვენი საკვლევი ჰიპოთეზა, რომ განათლება და ემოციური ფონი გავლენას ახდენს ახალგაზრდების აღქმასა და ინფორმირებულობაზე სექსუალური ასპექტების მხრივ ნაწილობრივ გამართლდა.

ბიბლიოგრაფია

ამაშუკელი მ. (2015). *სექსუალური შევიწროება - ქალთა „უჩინარი“ დისკრიმინაცია.* თბილისი: ქალთა ფონდი საქართველოში. მოძიებულია: http://css.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=24&info_id=1024 21.03.17.

ასოციაცია ჰერა-XXI, (2015). *კოალიცია რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებებისათვის.* თბილისი. მოძიებულია: http://en.calameo.com/books/0041100214bb49073082c 23.03.17.

გაეროს ბავშვთა ფონდი (2014). *ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში.* საქართველო. მოძიებულია: http://unicef.ge/uploads/Final_Geo_Adolescents_and_Youth_in_Georgia.pdf 18.03.17.

ზარდიაშვილი, პ., კობალაძე, ლ., სურმანიძე, ლ., ქრისტესაშვილი, ჯ., შენგელია, ლ., წულაძე, გ. (2009). *მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში.* თბილისი: კულტურული კვლევების ცენტრი. მოძიებულია: http://en.calameo.com/read/000713529ecbdc2476c85 20.03.17.

Allen, L. (2001). *Closing sex education's knowledge/practice gap: the reconceptualisation of young people's sexual knowledge*. United kingdom: Sex Education: Sexuality, Society and Learning, 1(2), 109-122. Retrieved from: http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/14681810120052542 on: 19.03.21.

Burt, M. R. (1980). *Cultural myths and supports for rape*. United States of America: Journal of personality and social psychology, 38(2), 217. Retrieved from: http://psycnet.apa.org/journals/psp/38/2/217/ on: 24.03.17.

Ekore, J. O. (2012). Gender differences in perception of sexual harassment among university students. Gender and Behaviour, 10(1), 4358-4369. Retrieved from:
https://journals.co.za/content/genbeh/10/1/EJC121844
on: 27.05.17

Fain, T. C., & Anderton, D. L. (1987). *Sexual harassment: Organizational context and diffuse status*. United Kingdom: Sex Roles, 17(5-6), 291-311. Retrieved from:
https://link.springer.com/article/10.1007/BF00288454
on: 25.03.17.

Foulis, D., & McCabe, M. P. (1997). *Sexual harassment: Factors affecting attitudes and perceptions.* United Kingdom: Sex Roles, 37(9), 773-798. Retrieved from:
https://link.springer.com/article/10.1007%2FBF02936339?LI=true
on: 20.03.17.

Hudson, W. W., & Ricketts, W. A. (1980). *A strategy for the measurement of homophobia*. United Kingdom: Journal of homosexuality, 5(4), 357-372. Retrieved from:
http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1300/J082v05n04_02
on: 25.03.17.

Katz, R. C., Hannon, R., & Whitten, L. (1996). *Effects of gender and situation on the perception of sexual harassment.* Sex Roles, 34(1), 35-42. Retrieved from:
https://link.springer.com/article/10.1007%2FBF01544794?LI=true
on: 24.05.17.

Surrey, J. L. (1985). *The" self-in-relation": A theory of women's development*. Wellesley, Mass.: Wellesley College, Stone Center for Developmental Services and Studies. Retrieved from:
http://psycnet.apa.org/index.cfm?fa=search.displayRecord&uid=1989-98207-004
on: 25.05.17.

Women, U. N. (2014). *Creating Safe Public Spaces.* Retrieved from:
http://wwwunwomenorg/en/what-we-do/ending-violence-against-women/creating-safe-public-spaces
on: 7.12.14.